

შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წელი

შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

მოგება-ზარალის ანგარიში 2023წ.

	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი
ბრუნვა	1,178,867	813,884	688,460
პირდაპირი ხარჯები	(474,105)	(366,590)	(345,562)
საოპერაციო მოგება	704,762	447,295	342,898
სხვა შემოსავლები	4,723	2,415	844
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(153,562)	(100,089)	(84,624)
ცვეთა/ამორტიზაცია	(285,274)	(292,249)	(219,274)
მოგება/ზარალი	270,649	57,372	39,844

დირექტორი

კობა კილაძე



შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით

	2023 GEL	2022 GEL	2021 GEL
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	4,255,446	4,526,635	4,598,875
	<u>4,255,446</u>	<u>4,526,635</u>	<u>4,598,875</u>
მიმდინარე აქტივები			
მატ. მარაგები	4,442	3,468	3,468
დებიტორული მოთხოვნები	121,083	124,232	132,728
გადახდილი ავანსები	571,044	60,311	0
ფული და ფულადი აქტივები	204,051	10,905	30,884
სხვა მოთხოვნები	21,616	13,605	14,602
სულ მიმდინარე აქტივები	922,236	212,522	181,683
სულ აქტივები	<u>5,177,683</u>	<u>4,739,156</u>	<u>4,780,558</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	6,754,546	6,754,546	6,754,546
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2,836,718)	(3,044,240)	(3,101,612)
სულ კაპიტალი	<u>3,917,828</u>	<u>3,710,306</u>	<u>3,652,934</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მომსახურებიდან	20,309	19,995	15,936
საგადასახადო ვალდებულებები	16,066	15,378	13,134
მიღებული ავანსები	0	0	0
მიღებული გრძ. სესხები	1,223,479	993,478	1,098,555
სულ ვალდებულებები	<u>1,259,855</u>	<u>1,028,851</u>	<u>1,127,624</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<u>5,177,683</u>	<u>4,739,157</u>	<u>4,780,558</u>

დირექტორი

კობა კილაძე



შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2023 წელი

	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი	2021 წელი ლარი
შემოსავლები:			
შემოსავლები იჯარიდან	1,379,344	927,003	789,820
საპროცენტო შემოსავლები	1,541	381	0
სესხი ბანკიდან	571,000	188,000	549
გაცემული სესხის დაბრუნება	0	0	40,000
სულ შემოსავლები	1,951,885	1,115,385	830,368
გასავლები:			
ხელფასები	161,845	99,294	92,300
კომუნალური დანახარჯები	233,846	200,743	203,173
ადმინისტრაციული დანახარჯები	31,266	10,127	12,506
სხვა საწარმოო დანახარჯები	67,255	37,962	27,358
CAPEX	623,427	249,248	57,514
გადასახადები / საპენსიო	255,275	182,901	153,358
ბანკის/გარანტიის საკომისიო	9,927	6,610	7,432
საწ. კაპიტალის გატანა	0	0	0
სესხის ძირის/პროცენტის დაფარვა	377,615	348,360	271,299
პარტნიორ კომპანიებზე გაცემული სესხი	0	0	0
საკურსო სხვაობა	(1,717)	119	0
სულ დანახარჯები	1,758,739	1,135,363	824,939
საწყისი ნაშთი	10,905	30,884	25,455
საბოლოო ნაშთი	204,051	10,905	30,884

დირექტორი

კობა კილაძე



შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

საოპერაციო საქმიანობის ზოგადი დახასიათება

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ქართული ხილი და ბოსტნეული“ (ს/კ 406047932) დაფუძნდა 05/05/2011-ში (შემდგომში „კომპანია“). კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, სოფ. დიდი ლილო (ჭირნახულის მე-2 ჩიხი). დამფუძნებელია Milvus Holding Limited (HE284827), კვიპროსი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაყინული ხორცპროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის შენახვა/დასაწყობება, როგორც იმპორტირებულის ასევე ადგილობრივი წარმოების.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მსსფ ფასს სტანდარტის მიხედვით კანონმდებლობის შესაბამისად და განკუთვნილია შესაბამისი დაინტერესებული პირებისათვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ანგარიშგება შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ბასს) და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ცალკეულ ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებული განმარტებები მოცემულია ქვემოთ;

2.2 შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როცა მოხდა მომსახურების გაევა. შემოსავლები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარეშე;

2.3 წარდგენის ვალუტა

„კომპანია“ ფუნქციონირებს საქართველოს ეკონომიკურ გარემოში, შესაბამისად კომპანიის საქმიანობის სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები გადაფასებულია შესაბამისი სტანდარტებით და სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლართან მიმართებაში, რომელიც განისაზღვრა ეროვნული ბანკის მიერ იყო შემდეგი:

თარიღი	2023	2022	2021
01 იანვარი	2.7020	3.0976	3.2766
31 დეკემბერი	2.6894	2.7020	3.0976

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც

შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში;

2.5 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება ინდივიდუალური დანახარჯების და საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. იგი მოიცავს შეძენის დროს და ამჟამინდელ მდგომარეობაში მოყვანისთვის გაუქმ დანახარჯებს;

2.6 დებიტორული და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები. ამ მოთხოვნების ამოღების პერიოდის მიხედვით (1 წლამდე ან 1 წელზე მეტი ვადით) ისინი განეკუთვნებიან მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებს;

2.7 კრედიტორული და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შეძენის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები. თუ მათი დაფარვა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წელზე მეტი ვადის შემდგომ, შესაბამისად აღიარდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად;

2.8 ფულადი სახსრები და ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.9 დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შვებულებები, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა და სხვა სარგებლები (ბენეფიტები). დარიცხული და აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც „კომპანიის“ დაქირავებული მომუშავეები ახორციელებენ შესაბამისი მომსახურების მიწოდებას;

3. ძირითადი საშუალებები

პერიოდი	მიწა & შენობა / ნაგებობები	ენერგო კომუნიკაციები	მანქანა დანადგარები	სხვა	სულ ჯამში
01.01.2023	1,929,942	34,739	2,547,743	14,211	4,526,636
31.12.2023	1,799,715	16,933	2,432,125	6,673	4,255,446

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

ტიპი	2023	2022	2021
სხვა მარაგები	4,442	3,468	3,468

შპს ქართული ხილი და ბოსტნეული

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

ტიპი	2023	2022	2021
დებიტორული მოთხოვნები	121,083	124,232	132,728
გადახდილი ავანსები	571,044	60,311	0
სხვა მოთხოვნები	21,616	13,605	14,602
სულ ჯამში	713,743	198,148	147,331

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული საღაროში	348	0	31
ფული საბანკო ანგარიშზე ერ. ვალუტაში	203,703	10,905	30,853
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	0	0	0
სულ ჯამში	204,051	10,905	30,884

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები არ ჰქონია.

8. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კომენტარს ფინანსურ ანგარიშგებაში

კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.